



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამულისრეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №73/11

2019 წლის 29 აგვისტო

ქ. თბილისი

„ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის № 33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში - კომისია) 2019 წლის 29 აგვისტოს საჯარო სხდომაზე განიხილა საკითხი „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში შემოვიდა შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ 2019 წლის 19 აგვისტოს №02/53 წერილი ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის კორექტირების მიზნით, რომელსაც თან ერთვის ტარიფის დადგენისათვის საჭირო ინფორმაცია.

კომისიის შესაბამისი დეპარტამენტების მიერ შესწავლილ იქნა შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადი და მიჩნეულ იქნა, რომ იგი შეესაბამება კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის წარმოების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ მოთხოვნებს და კომისიას წარედგინა წინადადება, რომ დაწყებულ იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად.

შეისწავლა რა წარმოდგენილი დოკუმენტები, კომისია მიიჩნევს, რომ გაზიარებულ უნდა იქნეს ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის მოთხოვნა და

„ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად უნდა დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შემდეგი გარემოებების გამო:

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის დადგენა და რეგულირება.

ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – დადგენილებას, ხოლო ამავე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ტარიფები მტკიცდება დადგენილებით.

კანონის ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად, კომისიის მიერ ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ გამოცემულია ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილება, ხოლო ელექტროენერჯის ტარიფების განსაზღვრა ან მისი ცვლილება საჭიროებს აღნიშნულ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დამატების ან/და ცვლილების შეტანას.

კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის წარმოების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ 22-ე მუხლის თანახმად, განისაზღვრება მოთხოვნები ტარიფის დადგენის მიზნით წარსადგენი ინფორმაციის მიმართ.

„ელექტროენერჯის წარმოების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომისია სატარიფო განაცხადის დამტკიცებულ ფორმასთან შესაბამისობას და მის სისრულეს განიხილავს სატარიფო განაცხადის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში“, ხოლო ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სრულყოფილად წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიღების შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილებით იწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

ვინაიდან შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ სატარიფო განაცხადი წარმოდგენილია სრულყოფილად და იგი აკმაყოფილებს „ელექტროენერჯის წარმოების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიით“ გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არსებობს როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი საფუძველი, წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის საფუძველზე დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს „ვარდნილჰესების კასკადისთვის“ ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის კორექტირების მიზნით, ხოლო ვინაიდან განსაზღვრული ტარიფი უნდა აისახოს „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში, საჯარო ადმინისტრაციული წარმოება უნდა დაიწყოს ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის გამო.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების უფლების მქონე კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება იწყება ამავე ორგანოს გადაწყვეტილებით, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების მიმართ გამოიყენება კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106² მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი შესაძლებელია გამოქვეყნდეს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ვებ-გვერდზე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პროექტთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106⁵ მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღების ვადა განისაზღვრება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, 42-ე და 44-ე მუხლების, აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106¹, 106², 106⁵ და 177-ე მუხლების საფუძველზე, კომისიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.
2. „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადა განისაზღვროს 2019 წლის 31 დეკემბერი.
3. „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესახებ მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 1 ოქტომბერი, 18:00 საათი.
4. დაევალოს კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ცნობის საჯაროდ გამოქვეყნება.

5. დაევალოს კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს, უზრუნველყოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.
6. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
7. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს.
8. გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცალკე არ საჩივრდება.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე - მ.შ.

გოჩა შონია

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

